


XI კლასი

- შეადგინეთ ჰარმონიულად მერხევი სხეულის x კოორდინატის დროზე დამოკიდებულების განტოლება, თუ რხევის პერიოდი და ამპლიტუდა, შესაბამისად 1 წმ და 20 სმ-ია. მიიჩნიეთ, რომ დროის ათვლის დასაწყისში სხეული წონასწორობის მდებარეობაშია და მოძრაობს x ღერძის საწინააღმდეგოდ.
- I_1 და I_2 სიგრძის მათემატიკური ქანქარების რხევის პერიოდები შესაბამისად არის 30 წმ და 40 წმ. იპოვეთ $I_1 + I_2$ სიგრძის მათემატიკური ქანქარის რხევის პერიოდი.
- k_1 სიხისტის ზამბარაზე დაკიდებული სხეულის რხევის პერიოდი არის T_1 , k_2 სიხისტის ზამბარაზე დაკიდებული იგივე სხეულის კი - T_2 . ეს ზამბარები გადააბეს მიმდევრობით და დაკიდეს ისევ ეს სხეული. როგორი იქნება ამ სისტემის რხევის პერიოდი?
- ნივთიერი წერტილის რხევის პერიოდია T . დაყავით წონასწორობის მდებარეობიდან მაქსიმალურ გადახრამდე მონაკვეთი ორ ისეთ ნაწილად, რომელთა გავლასაც სხეული მოანდომებს ერთსა და იმავე დროს.
- ზამბარაზე დაკიდებული სხეული ირხევა ჰარმონიულად. იპოვეთ სხეულის საშუალო სიჩქარე 1.5 A-s ტოლი მანძილის გავლისას. რხევა იწყება მაქსიმალური გადახრიდან.
- m მასის და s ფუძის ფართობის ცილინდრული ფორმის სხეული ტივტივებს წყალში. იპოვეთ სხეულის მცირე რხევების პერიოდი და დაწერეთ $x(t)$ განტოლება, თუ ამპლიტუდაა A . ხახუნი უგულვებელყოფილია.
- 20 გ მასის და 5 სმ სიგრძის ლითონის ღერო ჰორიზონტალურად მოათავსეს გლუვ დახრილ სიბრტყეზე. $t_{\text{გა}}=0,3$. α კუთხეა ჰორიზონტან. სისტემა იმყოფება 150 მტლ ინდუქციის ვერტიკალურ მაგნიტურ ველში. რა დენის ძალა უნდა გადიოდეს ღეროში, რომ ის წონასწორობაში იყოს?
- $R=10$ ომი წინაღობის გამტარი მიერთებულია $I = 2 \text{ მ}$ სიგრძის გამტართან, რომელიც $0,5$ ტლ ინდუქციის მაგნიტურ ველშია მოთავსებული. რა დენი გაივლის R წინაღობაში თუ გამტარი მოძრაობს მუდმივი 10 მ/წმ სიჩქარით. წრედის სხვა ნაწილების წინაღობა უგულებელყავით. ნახ.1



ნახ. 1